

შპს ქართული ფრინველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ჯე პ ს ქართული ფრინველი ს/კ 426534048 წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2017 წლის 26 სექტემბერს და მისი 100% წილის მფლობელია თამაზ წიქარიშვილი, რომელიც არის ასევე კომპანიის დირექტორი.

კომპანიის ოფისი მდებარეობს გარდაბნის რაიონი სოფელი კრწანისი.

კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო საქმიანობა, კერძოდ: ქათმის მოშენება, სადედე გუნდის იმპორტი, მისი გამოზრდა მეურნეობაში, მიღებული კვერცხიდან წიწილების გამოჩეკვა და მისი რეალიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ასევე ახდენს საკუთარ მეურნეობაში გამოზრდილი ცოცხალი ფრინველის რეალიზაციას, სასურსათო და საინკუბაციო კვერცხის რეალიზაციას, ფრინველის საკვების იმპორტს და რეალიზაციას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო საკითხების მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (შემდგომში მსგავს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მმსფას-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ ადრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

დირექტორი



თამაზ წიქარიშვილი

3.ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

3.1.შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციოვალუტა). ამგვარად ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

3.2.უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება /ზარალი საკუროსო სხვაობიდან“

2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშდოლარი	ევრო	თურქულილირა	რუსულირუბლი
2020 წლის 31 დეკემბერი:	3,2766	4,0233	0,4462	0,044031
2019 წლის 31 დეკემბერი:	2,8677	3,2095	0,4821	0,046423
2018 წლის 31 დეკემბერი:	2,6766	3,0701	0,5076	0,038588

4.ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები წარმოადგენს კომპანიის სალაროში, ასევე საბაკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს.

5.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლის რელიზაციას ახდენს როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშწორებით, როგორც ქვეყნის შიგნით ეროვნულ ვალუტაში, ასევე ქვეყნის გარეთ უცხოურ ვალუტაში. ქვეყნის გარეთ უცხოურ ვალუტაში არსებული მოთხოვნები გადაფასდება შესაბამისი კურსით და მიღებული სხვაობა აისახება მოგება ზარალში.

ყოველი წლის ბოლოს ხდება დებიტორული დავალებების შეფასება და საექვო მოთხოვნებზე კეთდება ანარიცხები, რომელიც აღიარდება მოგება ზარალში.

დირექტორი _____თამაზ წიქარიშვილი



6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები წარმოადგენს მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილ ფულად სახსრებს.

7. მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულებაში შედის ყველა ის დანახარჯი (დაბრუნებად გადასახადების გარდა) რაც გაწეული იქნება მარაგების დასაწყობებამდე. კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს, არსებობს თუ არა მარაგის გაუფასურების ინდიკატორები, როდესაც მოხდება მარაგის გამოყენება ან კომპანიიდან გასვლა, ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით და აღიარდება შესაბამისი პერიოდის ხარჯად, მოგება ზარალში ასახვით.

8. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებას აღრიცხავს მსფას-ის მე-17 განყოფილების ძირითადი საშუალებები -ს შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს: შეძენის ფასსა და უშალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში და აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი ცაქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯებისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც პერიოდული ხარჯი.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვების ტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ცვეთაერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს,

მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადა

შენობანაგებობა 10-20 წელი

მანქანა და ნადგარები 3-10 წელი

კომპიუტერული აღჭურვილობა 3-10 წელი

ავეჯი 5-10 წელი

სატრანსპორტო საშუალებები 5-10 წელი

დირექტორი



თამაზ წიქარიშვილი

ყოველ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულების განსაზღვრა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ ზარალი.

9.არამატერიალური აქტივი

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯებში ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი დარიცხვის მეთოდით, წლიური 15 %-ანი ცვეთით.

10.ბიოლოგიური აქტივი

ბიოლოგიური აქტივი წარმოადგენს იმპორტირებული სადედე გუნდის წიწილი და ფრინველი, რომელიც აღიარდება თვითღირებულებით. დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებული ზარალის გამოკლებით.

გაწეული ხარჯების კაპიტალიზება ხდება სანამ ბიოლოგიური აქტივიდან შესაძლებელ იქნება სარგებლის მიღება, შემდგომ ხდება დაგროვილი ღირებულების ცვეთა, მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პროპორციულად.

11.მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოურისაწარმოებისგან მიღებულ ფულად სახსრებს.

12.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანია საქონლის შეძენას ახორციელებს, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე ქვეყნის გარეთ, როგორც უნაღდო ანგარიშსწორებით ასევე კონსიგნაციით.

უცხოურ საწარმოებზე არსებული დავალიანებების გადაფასება ხდება წლის ბოლოს არსებული ეროვნული ვალუტის კურსის შესაბამისად.

დირექტორი



თამაზ წიქარიშვილი

13. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რა თანხის გადახდაც კომპანიას მოუწევს შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობისას. კომპანია რეგისტრირებულია დღგ-გადამხდელად. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემისას და ასევე კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14. მიღებული სესხები

კომპანიას აღებული აქვს სესხები საქართველოში რეგისტრირებული ფინანსური ინსტიტუტებისაგან, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. სესხის პროცენტის გადახდა ხდება ყოველთვიურად და შესაბამისადაა ღიარდება როგორც ხარჯი. მოგება ზარალის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში აღებული სესხების ადაფასება ხდება ყოველი წლის ბოლოს

15. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი შედგება კომპანიის დამფუძნებლის და 100 %-იანი წილის მფლობელის შენატანებისაგან ეროვნულ ვალუტაში. თანხის შეტანა ხდება როგორც კომპანიის სალაროში ასევე კომპანიის ანგარიშზე ბანკში

16. ამონაგები

ამონაგები მოიცავს, როგორც საქონლის მიწოდებიდან, ასევე მომსახურების გაწევიდან მისაღწეულ ფულად სახსრებს ან სხვა სარგებელს. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე რისკი და სარგებელი გადაეცემა საქონლის მყიდველს.

შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

17. იჯარა

იჯარა წარმოადგენს ჩვეულებრივ საოპერაციო იჯარას, გადასახდელი საიჯარო თანხები განიხილება როგორც მიმდინარე წლის ხარჯი და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

18. არასაოპერაციო შემოსავალი

აღნიშნული მოიცავს კომპანიის მიერ მიღებულ ისეთ შემოსავალს, რომელიც არ წარმოადგენს საოპერაციო საქმიანობას, როგორიცაა შემოსავალი კურსითა და სხვაობიდან და სხვა.

დირექტორი



თამაზ წიქარიშვილი

შპს ჯეპ ს ქართული ფრინველი
ბალანსი
2018-2019-2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	182577	123290	97300
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	103394 5	158988 0	377670
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	443000	0	0
მარაგები	435034	97211	280411
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	435034	97211	280411
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	46956	12854	73546
ბიოლოგიური აქტივები	473284	345715	405892
თვითღირებულების მოდელით	473284	345715	405892
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	262603	290649	247263
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	41168
სულ აქტივები	287739 9	245959 9	152325 0
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	81332	111001	170794
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4708	1127	1150
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	134751 8	147312 6	697129
მიღებული გრანტები	0	0	0

სხვა ვალდებულებები	29	29	0
სულ ვალდებულებები	1433587	1585283	869073
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1443812	874316	654177
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1443812	874316	654177
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2877399	2459599	1523250
სულ მოკლევადიანი აქტივები	2141512	1823235	828927
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	86069	112157	130776

დირექტორი



თამაზ წიქარიშვილი

შპს ჯეპ ს ქართული ფრინველი
 მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2018-2019-2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები		
	31/12/2020	31/12/2019
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	3577703	3694517
საქონლის გაყიდვიდან	3577703	3694517
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2227257	-2741792
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1350446	952725
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-3177	-345
ცვეტა / ამორტიზაციის ხარჯი	-28428	-23481
საპროცენტო შემოსავალი	243	3853
საპროცენტო ხარჯი	-13654	-3350
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	0	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-45016	-23323
საოპერაციო მოგება	1305430	929402
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-8570	13528
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-727364	-722791
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	569496	220139
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	569496	220139
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	569496	220139
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	874316	654177
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1443812	874316

დირექტორი



ფამაზ წიქარიშვილი